МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 18

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ**

თანახმად სასამართლოს წყობილების დებულების 1-ლი კარის მე-8 თავისა, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-II მოწვევის მე-2 სესიაზე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახელმწიფო ნოტარიატის დებულება და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ დანიშნულ ვადაზე.

2. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 96 №-რის დეკრეტი და იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ 1922 წ. მარტის 6 გამოცემული ინსტრუქცია სახალხო ნოტარიუსებისათვის და წესები უფროს სახალხო ნოტარიუსების მიერ სიგელების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახლხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. ხალარიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახ. კომისართა საბჭოს მდივანი **თ. კეჭაღმაძე.**

1924 წ. მაისის 28,
ტფილისი—სასახლე.

# დებულება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ნოტარიატისა.**

1. სანოტარო კონტორას ევალება: ა) ქმნა ყოველგვარი აქტისა, რომლისათვისაც სამოქალაქო კოდექსისა და მომქმედი კანონის ძალით დაწესებულია ქმნა სანოტარო წესით; ბ) შემოწმება ყოველგვარი ხელშეკრულებისა, რასაც დასდებენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებანი და საწარმონი, როგორც ურთიერთ შორის, ისე კერძო პირებთან და მათ შენაერთებთან ან ეს უკანასკნელნი ურთიერთ შორის, როდესაც ამა ხელშეკრულებისათვის სამოქალაქო კოდექსისა და მომქმედი კანონის ძალით დაწესებულია შემოწმება სანოტორო წესით; გ) ქმნა და შემოწმება, მხარეთა სურვილისამებრ, ისეთი გარიგებისა, რაც შეიძლება დადებულ იქნეს უნოტარიუსოდაც; დ) ქმნა თამასუქის პროტესტისა; ე) შემოწმება რწმუნებულობის და ყოველგვარი დოკუმენტის ასლისა და სავაჭრო დავთრისა და სხვა დავთრისა თუ დოკუმენტის ამონაწერისა, აგრეთვეხელ მოწერის სინამდვილისა; ვ) შემოწმება თანამდებობის პირისა და დაწესებულების, აგრეთვე კერძო პირის მოთხოვნით, უდავო გარემოებისა, როგორიც არის: დოკუმენტის წარდგენის დრო, ამა თუ იმ პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნა, ერთი პირისაგან მეორისათვის ახსნა-განმარტების თუ მოთხოვნის წარდგენა და სხვ.; ზ) გაცემა სანოტარო დავთრისა და რეესტრის ამონაწერისა და ასლისა და სხვ.; თ) შესანახად მიღება სხვა და სხვა პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტისა.

2. ხელშეკრულება არამუნიციპალიზაციაქმნილი შენობის გასხვისებისა და დაგირავებისა, აღნაგობის უფლების დამყარებისა, გასხვისებისა და დაგირავებისა ქმნილ უნდა იყოს იმ ადგილის სანოტარო კონტორაში, სადაც შენობა ან ასაგებად გაცემული ნაკვეთი მდებარეობს. აქტი შენობისა და აღნაგობის უფლების გადაგირავებისა, ასეთი გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემისა და ასეთივე გირავნობის მოსპობა ქმნილ უნდა იყოს იმავე სანოტარო კონტორაში, სადაც ქმნილია დაგირავების აქტი. ყველა სხვა აქტისა და ხელშეკრულების ქმნა ან შემოწმება, მხარეთა სურვილისამებრ, შეიძლება ამა თუ იმ სანოტარო კონტორაში.

3. სანოტარო აქტისა და ყოველგვარი შემოწმების საქმნელად ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს,—შეესაბამება თუ არა გარიგება და დოკუმენტი მომქმედ კანონებს, და, თუ კანონის საწინააღმდეგო რამ აღმოჩნდა, უარი უნდა სთქვას სანოტარო მოქმედებაზე, რასაც მისგან მოითხოვენ. ნოტარიუსი არ განიხილავს, თუ რამდენად მიზანშეწონილია ქმნად და შესამოწმებლად წარდგენილი გარიგება და დოკუმენტი, რამდენად სასარგებლოა ან საზარალოა მხარეთათვის გარიგება.

4. ნოტარიუსის უარი ამა თუ იმ მოქმედებაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, წერილობით უნდა იქმნეს გამოთქმული, სადაც უნდა აღინიშნოს უარის მიზეზი და სათანადო კანონი. გარიგება ქმნილ და შემოწმებულ უნდა იყოს, ან ამისი უარი უნდა გამოცხადდეს, არა უგვიანეს სამი დღისა სათანადო დოკუმენტის წარდგენიდან და გამოსაღების შეტანიდან.

… რომელსაც იგი განაგებს, არ შეუძლიან შეასრულოს სანოტარო მოქმედება თავისი მეუღლისა, თავისი და მეუღლის პირდაპირი შტოის ნათესავის, ძმისა და დის, აგრეთვე სანოტარო კონტორის თანამშრომელის სახელზე ან მათი სახელით.

6. ნოტარიუსი მოვალეა დაიცვას, კანონში აღნიშნულ შემთხვევის გარდა, მისთვის შესანახად მიბარებული აქტისა და დოკუმენტის და ყველა მინდობილი საქმის საიდუმლოება. ამ საიდუმლოების გამჟღავნება დაისჯება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 120 მუხლისამებრ.

7. სანოტარო კონტორა, იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ფორმით, აწარმოებს შემდეგ დავთრებს; ა) საქტო დავთარს სანოტარო წესით ქმნილ აქტების ჩასაწერად; ბ) რეესტრს კონტორის ყველა მოქმედების ჩასაწერად: აქტისა, შემოწმებისა, გარემოების დადასტურებისა, ასლისა და ამონაწერის გაცემისა და სხვ., (გარდა თამასუქის პროტესტისა), აგრეთვე ჩასაწერად გადახდევინებული გამოსაღებისა და ბაჟისა; გ) ცალკე რეესტრს თამასუქების პროტესტის ჩასაწერად; დ) საალფაბეტო სარჩევებს რეესტრებისათვის; ე) ფულის დავთარს კონტორაში შემავალი ფულისა და დოკუმენტის ჩასაწერად და აგრეთვე შესული ფულის დახარჯვის ჩასაწერად.

8. დავთრები და რეესტრები, გარდა საალფაბეტო სარჩევებისა, უნდა იყოს დანომრილი, ზონარ-გაყრილი და ფურცლობრივად შემოწმებული ოლქის სასამართლოს მდივნის მიერ, ოლქის სასამართლოს წევრის ხელმოწერილი და ოლქის სასამართლოს ბეჭედ დასმული; ხოლო, უკეთუ სანოტაროკონტორა ოლქის სასამართლოს სამყოფელი ადგილის გარეშეა, ამ სასამართლოს დავალებით, დავთრებსა და რეესტრებს შეამოწმებს სახალხო სასამართლოს მდივანი, ხელს მოაწერს სახალხო მოსამართლე და დაესმება სახალხო სასამართლოს ლუქის ბეჭედი. ხარვეზებს დავთრებსა და რეესტრებში ხაზი უნდა გადაესვას; ამოფხეკა არ შეიძლება, ხოლო შესწორება და მინაწერი სხვა ფერი მელნით უნდა იყოს და სათანადო ჩანაწერის ბოლოში აღინიშნოს ნოტარიუსის ხელმოწერით. სანოტარო დავთრები და რეესტრები ყოველი წლის ბოლოს უნდა დასრულდეს და ყველა დანართითურთ სანოტარო არქივს წარედგინოს. ამას გარდა, ნოტარიუსი მოვალეა არა უგვიანეს ახალი წლის იანვრის 2-სა აცნობოს სანოტარო თანაგანყოფილებას, თუ რამდენი ნომერია თვითეულ საქტო და სარეესტრო დავთარში.

9. სანოტარო აქტი ქმნილ უნდა იყოს სანოტარო კონტორაში და მთლად ჩაწერილ იქნეს საქტო დავთარში. შემოწმება აქტისა მოხდება თვით აქტზე წარწერით, რაც რეესტრში უნდა ჩაიწეროს.

10. ყველა აქტსა და შემოწმებაში უნდა აღინიშნოს: სანოტარო კონტორა, სადაც აქტი ქმნილია და შემოწმება მოხდა, ქმნისა და შემოწმების წელიწადი, თვე და რიცხვი, ხოლო სათანადო შემთხვევაში—საათიც; ყველა აქტი და შემოწმება ნოტარიუსის ხელმოწერილი და ბეჭედ-დასმული უნდა იყოს.

11. აქტი და შემოწმება უნდა დაიწეროს ნათლად და გარკვევით: ყოველი რიცხვი, ნომერი და ვადა, რაცკი აქტის შინაარს შეეხება, ერთხელ მაინც სიტყვებით უნდა აღინიშნოს. ამოფხეკა არ შეიძლება. ხარვეზს ხაზი უნდა გადაესვას; შესწორება და მინაწერი სხვა ფერის მელნით უნდა იყოს და აღინიშნოს აქტის მონაწილე პირთა ხელმონაწერის წინ, ხოლო ნოტარიუსმა უნდა ჩამოთვალოს თვით აქტის ან შემოწმების ტექსტში. ეს შესწორებები და მინაწერები ისე უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს პირვანდელი სახით წაკითხვა ყველა იმისა, რაც შეცდომით იყო დაწერილი, ხოლო შემდეგ—შესწორებული და ხაზგადასმული.

12. აქტსა და შემოწმებაში ამა თუ იმ პირის აღნიშვნის დროს დაწვრილებით უნდა იყოს მოხსენებული მისი სახელი, მამის სახელი და გვარი, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილი და პროფესია ან თანამდებობა, ხოლო ხელმონაწერი—მარტო სახელი, მამის სახელი და გვარი:

13. გარიგების მონაწილე პირის ვინაობა, აგრეთვე ვინაობა იმ პირისა, რომლისათვისაც შესრულდება ესა თუ ის სანოტარო მოქმედება, დადასტურებულ უნდა იქნეს ვინაობის მოწმობით, რაც გაცემულ უნდა იყოს სათანადო დაწესებულებების მიერ. შესამოწმებელი დოკუმენტი ხელმოწერილ უნდა იქნეს ნოტარიუსის თანდასწრებით, ან და ხელის მომწერმა ხელმონაწერი თავისით უნდა აღიაროს ნოტარიუსის წინაშე.

**შენიშვნა 1.** უკეთუ გარიგებისა და სხვა სანოტარო მოქმედების მონაწილე პირს ვინაობის მოწმობა თან არ ექნება, მისი ვინაობა შეიძლება დაადასტუროს ორმა მოქალაქემ, რომელთაც ნოტარიუსი პირადად იცნობს და რომელთა უფლებანიც სასამართლოს წესით შეზღუდული არ არის.

**შენიშვნა 2.** უკეთუ გარიგებისა და სანოტარო მოქმედების მონაწილე პირს ნოტარიუსი პირადად იცნობს, იგი ამ გარემოებას აქტში ან მოწმობაში დაადასტურებს და ვინაობას სხვა რიგად აღარ შეამოწმებს.

14. საქმნელი აქტი და შესამოწმებელი დოკუმენტი შეიძლება დაიწეროს ქართულ ენაზე, ან უცხო თუ ადგილობრივ ენაზე, ქართულ ენაზე გადმოთარგმნით. თარგმანის სისწორეს შეამოწმებს ნოტარიუსი. უკე თუ ნოტარიუსმა უცხო ან ადგილობრივი ენა არ იცის, თარგმანის სისწორეს შეამოწმებს ის, ვისაც ნოტარიუსი პირადად იცნობს. მთარგმნელის ხელმონაწერს ნოტარიუსი შეამოწმებს.

15. აქტის ქმნაში მონაწილე პირმა, უკეთუ მას წერა-კითხვის უცოდინარობისა, ავადმყოფობისა და სხვა მიზეზის გამო არ შეუძლიან აქტზე ხელის მოწერა, მისი სახელით აქტზე ხელის მოწერა ნოტარიუსის თანდასწრებით სხვა პირს უნდა მიანდოს. ნოტარიუსმა თვით აქტის ან შემოწმების ტექსტში უნდა დაადასტუროს, რომ მონაწილე პირს ამა და ამ მიზეზით არ შეეძლო თვითონ მოეწერა ხელი, და რომ აქტში მონაწილე პირმა, ნოტარიუსის, თანადასწრებით, თავის მაგიერ ხელის მოწერა ამა და ამ პირს მიანდო.

არასრულწლოვანობის ან სხვაგვარად ქმედობაუნარიანობას მოკლებული პირის სახელით ან მის სახელზე აქტის ქმნის და შემოწმების წესი განსაზღვრულია მეურვეობის კანონში.

16. ყრუს, მუნჯის ან ყრუმუნჯის სახელით ან მის სახელზე აქტის ან შემოწმების ქმნის დროს ეს აქტი, უკეთუ ყრუ, მუნჯი ან ყრუმუნჯი წერა-კითხვის მცოდნეა, უნდა წარედგინოს მას წასაკითხად და მან საკუთარის ხელით წააწეროს, რომ აქტი წაკითხული აქვს და იგი თანახმაა მისი შინაარსისა; უკეთუ ყრუმ, მუნჯმა ან ყრუმუნჯმა წერა კითხვა არ იცის, მოწვეულ უნდა იქნეს ორი პირი: ერთი, მისი არჩევით, ისეთი, რომელმაც მასთან ლაპარაკი იცის, მეორე ისეთი, რომელსაც ესმის ეს ლაპარაკი, და რომელიც აქტზე საკუთარი ხელმოწერით დაადასტურებს, რომ აქტის შინაარსი შეესაბამება ყრუს, მუნჯის ან ყრუმუნჯის ნებისყოფას.

უკეთუ აქტის მონაწილე უსინათლოა, აქტი ქმნილ უნდა იყოს უსინათლოს მიერ არჩეული მოწმის თანადასწრებით; ხსენებული მოწმე ნოტარიუსის თანადასწრებით წაუკითხავს აქტს უსინათლოს და მისი თხოვნით ხელს მოაწერს, ხოლო ნოტარიუსმა ეს გარემოება აქტისა ან შემოწმებაზე უნდა დაადასტუროს.

17. ნოტარიუსი, როდესაც იგი სანოტარო აქტის ქმნის დროს დარწმუნდება, რომ დაცულია აქტის ქმნისათვის საჭირო პირობები, წარდგენილ პროექტს საქტო დავთარში ჩასწერს, რის შემდეგაც აქტის მხარეებს წაუკითხავს.

18. სანოტარო აქტში დაწვრილებით აღნიშნულ უნდა იქნეს შინაარსი იმ გარიგებისა, რასაც მხარეები სდებენ; აღნიშნულ უნდა იქნეს აგრეთვე გარიგების მანაწილე პირნი, მოწმენი, როდესაც მათი მონაწილეობა კანონით არის გათვალისწინებული, და მონაწილე პირთა და მოწმეთა ვინაობის დადასტურების საშუალება, ამას გარდა უნდა დაწვრილებით ჩამოითვალოს ყველა დოკუმენტი, რაც აქტის ქმნის დროს მხედველობაში იქნა მიღებული, და აღინიშნოს: გადახდილია თუ არა სათანადო საღერბო და სხვა გამოსაღები.

19. აქტის დედანს ხელს აწერენ მხარეები სააქტო დავთარში. აქტის საქმნელად წარდგენილი დოკუმენტის—დედანი დარჩება კონტორის საქმეში, უკეთუ ამ აქტის გამო მას იურიდიული ძალა დაეკარგა; წინააღმდეგ შემთხვევაში, დოკუმენტის დედანს წაეწერება, რომ აქტი ქმნილია, და იგი დაებრუნება იმ პირს, ვინც წარადგინა, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, მონაწილე პირთა ხარჯით გადაიღება დედანის ასლი, რომელსაც ნოტარიუსი დაადასტურებს და კონტორის საქმეში დასტოვებს. საქმეში მანაწილე პირს შეუძლიან გაიტანოს დატოვებული დოკუმენტის დედნის ასლი. ვინაობის მოწმობა პატრონს დაუბრკოლებლივ დაებრუნება.

20. შენობისა და აღნაგობის უფლების გასხვისების ან დაგირავების აქტის საქმნელად ნოტარიუსმა უნდა გამოარკვიოს,—ხომ არ ყოფილა არსებული წესით აღკრძალული ასეთი გასხვისება ან დაგირავება.

21. გარიგების შესამოწმებლად ნოტარიუსი მოვალეა გამოარკვიოს გარიგების მქმნელ პირთა ვინაობა, აქვთ თუ არა მათ უფლება დასდონ ეს გარიგება, და ის, რომ გარიგებას მათ ნამდვილად მოაწერეს ხელი. ნოტარიუსმა გარიგების აქტის დედანს უნდა წააწეროს, რომ ყველა აღნიშნული გარემოება მან გამოიკვლია; თანაც უნდა აღინიშნოს ის საშუალება, რომლითაც ნოტარიუსმა მონაწილე პირთა ვინაობა გამოარკვია.

22. ყველა აქტი, რამდენსამე ფურცელზე დაწერილი, უნდა იქმნეს დანომრილი, ზონარ—გაყრილი, ნოტარიუსის მიერ ფურცლობრივად შემოწმებული და კონტორის ლუქის ბეჭედ-დასმული.

23. აქტისა და შემოწმების მქნელ პირს ნება აქვს,სურვილისამებრ, გაიტანოს სააქტო დავთრისა და რეესტრის ამონაწერი და შესამოწმებლად წარდგენილი დოკუმენტის ასლი. გარეშე პირს-კი და დაწესებულებას ასეთი ამონაწერი და ასლი მიეცემა მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით. მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოს უფლება აქვს ამონაწერი და ასლი თავისი უშუალო მოთხოვნით მიიღოს.

**შენიშვნა.** იუსტიციის სახალხო კომისარს უფლება აქვს განკარგულება გასცეს, რათა მთავრობის დაწესებულებათ, ეძლეოდეთ სანოტარო კონტორის დავთრებიდან და საქმეებთან ცნობები განსაზღვრული კატეგორიის საქმეების შესახებ.

24. წარდგენილი დედნის ასლის სისწორის შესამოწმებლად ასლი შედარებულ უნდა იქნეს დედანთან, შემოწმებაშიაც უნდა აღინიშნოს, ვინ წარადგინა დედანი და ვის მიეცა ასლი, ხომ არ იყო დედანში შესწორებული თუ ამოფხეკილი ადგილი, მინაწერი, ხაზგადასმული სიტყვები და სხვა რამ; უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რა საღერბო გამოსაღები იყო გადახდილი დედნისათვის.

25. ხელმონაწერის სინამდვილე შემოწმებულ უნდა იქნეს თვით ხელმოწერილ დოკუმენტზე წარწერით, მას შემდეგ, რაც გამორკვეულ იქნება ხელისმომწერის ვინაობა.

26. დრო დოკუმენტის წარდგენისა დადასტურებულ უნდა იქნეს თვით დოკუმენტზე წარწერით; თანაც უნდა აღინიშნოს მისი წარმდგენი პირი.

27. ამა თუ იმ პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნა დადასტურებულ უნდა იქნეს ამ პირის სანოტარო კონტორაში გამოცხადებისას ან როდესაც ნოტარიუსი ამაში კონტორის გარეშე დარწმუნდება, მას შემდეგ, რაც წარდგენილ იქნება ვინაობის დამამტკიცებელი საბუთი, ამა დებულების მე-13 მუხ. აღნიშნული.

28. მოქალაქეთ და დაწესებულებათ უფლება აქვთ სანოტარო კონტორის მეშვეობით ერთმანეთს განცხადებანი გუგზავნონ და გაიტანონ სანოტარო კონტორიდან მოწმობა განცხადების წარდგენისა და მასზე მიღებული პასუხის შესახებ.

29. თამასუქის პროტესტი მოხდება, თამასუქის პატრონის მოთხოვნისამებრ, თვით თამასუქზე წარწერით, რომ იგი გადახდილ ან ვადაზე მიღებულ არ იქნა. თამასუქის პროტესტი ჩაწერილ უნდა იქნეს ამა დებულების მე-7 მუხლის «გ» პუნქტში ნაჩვენები ცალკე რეესტრში.

30. სანოტარო მოქმედებისათვის გადასახდელი გასამრჯელოს და სხვა გამოსაღების ნიხრი დაწესდება იუსტიციის სახალხო კომისარისა და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ცალკე დადგენილებით.

31. იუსტიციის სახალხო კომისარიატს დაეკისრება გამოსცეს ინსტრუქციები და ცირკულიარები ამა დებულების შესაფარდებლად.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბ. სახალხო კომ.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. **გეგეჭკორი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. ხაჭარიძე.**

საქართველოს სოციალისტ. საბჭოთა რესპუბ. სახალ. კომისართა საბჭოს მდივანი თ. **კეჭაღმაძე.**

1924 წ. მაისის 28.
ტფილისი—სასახლე.

# Постановление № 18

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии.**

Об утверждении и введении в действие Положения о Государственном Нотариате С. С. Р. Г.

На основании принятого Пятой Сессией Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета 1 раздела VIII главы Положения о Судоустройстве Совет Народных Комиссаров С.С.Р. Грузии постановляет:

1. Прилагаемое при сем Положение о Государственном Нотариате утвердить и ввести в действие в срок по указанию Народного Комиссара Юстиции.

2. По введении в действие Положения о Государственном Нотариате С. С. Р. Грузии отменить декрет Революционного Комитета С. С. Р. Грузии за № 96 и Инструкцию Народного Комиссара Юстиции от 6-го марта 1922 г. народным нотариусам и правила об утверждении актов Старшими Народными Нотариусами, от того же числа.

Зам. Председателя Совета Народных Комиссаров
Соц. Сов. Рес. Грузии—А. ГЕГЕЧКОРИ.

Управляющий Делами Совета Народных Комиссаров
Соц. Сов. Респ. Грузии—АЛ. САЛАРИДЗЕ.

Секретарь Совета Народных Комиссаров
Соц. Сов. Респ. Грузии—Ф. КЕЧАКМАДЗЕ.

1924 г. Мая 28.
Тифлис—Дворец.

# Положение

## О Государственном Нотариате С. С. Р. Грузии,

1. На нотариальные конторы возлагается: а) совершение всякого рода актов, для которых Гражданским Кодексом и другими действующими узаконениями установлен нотариальный порядок совершения; б) засвидетельствование всякого рода договоров, заключаемых государственными и общественными учреждениями и предприятиями как между собой, так и с частными лицами и их об'единениями или последними между собой, для которых Гражданским Кодексом и другими действующими узаконениями установлен нотариальный порядок засвидетельствования; в) совершение и засвидетельствование, по желанию сторон, таких сделок, которые могут быть совершены и без участия нотариуса; г) совершение протестов векселей; д) засвидетельствование доверенностей и копий со всякого рода документов и выписей из торговых и других книг и документов, а также подлинности подписей; е) удостоверение, по требованиям должностных лиц и учреждений, а также частных лиц, бесспорных обстоятельств, как-то: времени пред'явления документов, нахождения лица в определенном месте, представления об'яснений либо требований от одного лица к другому и т. п.; ж) выдача выписей и копий из нотариальных книг, реестров и т. п.; з) принятие на хранение представленных разными лицами документов.

2. Договоры об отчуждении и залоге немуниципализированных строений, об установлении, отчуждении и залоге права застройки совершаются в нотариальных конторах по месту нахождения строения или сданные под застройку участки. Записи о перезалоге строений и права застройки, о передаче требований, обеспеченных таким залогом, и о прекращении такого залога совершаются в той же нотариальной конторе, где был совершен акт о залоге. Все остальные акты и договоры совершаются и свидетельствуются в той или иной нотариальной конторе по усмотрению сторон.

3. При совершении нотариальных актов и всякого рода засвидетельствований нотариусы удостоверяются в соответствии подлежащих сделок и документов действующим узаконениям и, в случае обнаружения какого либо противоречия последним, отказывают в совершении требуемого нотариального действия. В рассмотрение целесообразности представляемых к совершению и засвидетельствованию сделок и документов, выгодности или убыточности сделок для сторон нотариусы не входят.

4. Отказ нотариуса в совершении того или иного действия должен быть по требованию одной из сторон изложен в посьменной форме с об'яснением его причин и со ссылкой на соответствующие узаконения. Совершение и засвидетельствование сделок или отказ в совершении таких действий должны последовать не позже, чем в трехдневный срок, по представлении надлежащих документов и внесении сборов.

5. Нотариус не может совершать в конторе, которой он заведует, нотариальных действий на имя или от имени своего супруга, своих и супруга своего родственников по прямой линии, братьев и сестер, а равно и сотрудников нотариальной конторы.

6. Нотариус обязан соблюдать тайны относительно актов и документов, находящихся у него на хранении и всех порученных ему дел, за исключением случаев, в законе указанных. Несоблюдение этой тайны карается по ст. 120 Уголовного Кодекса С. С. Р. Грузии.

7. Нотариальная контора ведет по выработанной Народным Комиссариатом Юстиции форме следующие книги: а) актовую книгу для внесения актов, совершаемых нотариальным порядком; б) реестр для внесения всех (кроме протества векселей) совершаемых конторой действий: актов, засвидетельствований, удостоверений обстоятельств, выдач копий и выписей и т. п., а также взыскаемых сборов и пошлин; в) особый реестр для записи протеста векселей; г) алфавитные указатели к реестрам; д) денежную книгу для записей денежных сумм и документов, поступающих в контору, а равно расходования поступающих сумм.

8. Книги и реестры, кроме алфавитных указателей, должны быть пронумерованы, прошнурованны и скреплены по листам секретарем Областного Суда и снабжены подписью Члена Областного Суда и печатью Областного Суда; если же нотариальные конторы расположены не в месте нахождения Областного Суда, то по поручению такового, книги и реестры скрепляются секретарем Народного Суда и должны быть снабжены подписью Народного Судьи и сургучной печатью Народного Суда. Пробелы в книгах и реестрах должны быть перечеркиваемы, подчистки не допускаются, а поправки и приписки должны быть сделаны чернилами другого цвета и оговорены в конце соответствующей записи за подписью нотариуса. Нотариальные книги и реестры заключаются в конце каждого года и со всеми к ним приложениями представляются в нотариальный архив. Кроме того, нотариус обязан не позже 2-го Января наступающего года сообщить в Нотариальное Отделение о количестве номеров каждой актовой и реестровой книги.

9. Нотариальные акты совершаются в нотариальной конторе и целиком заносятся в актовую книгу. Засвидетельствование актов совершается путем надписи на самом акте, о чем заносится в реестр.

10. Все акты и засвидетельствования должны содержать: указание нотариальной конторы, в которой они совершаются, года, месяца и числа, а в подлежащих случаях и часа их совершения, подпись нотариуса и печать.

11. Акты и засвидетельствования должны быть написаны ясно и четко; относящиеся к содержанию совершаемого акта числа, номера и сроки означены, хотя бы один раз, словами. Подчистки не допускаются. Пробелы должны быть прочеркнуты; поправки и приписки сделаны чернилами другого цвета, оговорены перед подписью лиц, участвующих в совершении акта и перечислены нотариусом в самом тексте акта или засвидетельствования. Эти поправки и приписки должны быть сделаны так, чтобы все ошибочно написанное, а затем исправленное и зачеркнутое, можно было прочесть в первоначальном начертании.

12. При обозначении лиц в актах и засвидетельствованиях должны быть подробно указаны их имена, отчества и фамилии, а также местожительства и профессии или занимаемые должности, а в подписах только имена, отчества и фамилии.

13. Самоличность сторон, участвующих в совершении сделок, а равно лиц, для которых совершается те или иные нотариальные действия, устанавливается удостоверением личности, выданным подлежащим учреждением. Подпись на свидетельствуемом документе должна быть сделана в присутствии нотариуса или же должна быть признана перед нотариусом лицом, учинившим подпись за сделанную собственноручно.

ПРИМЕЧАНИЕ 1-ое. Если у участвующих в совершении сделок и нотариальных действий лиц, нет на руках удостоверения личности, самоличность их может быть удостоверена двумя гражданами, лично извесными нотариусу и не ограниченными по суду в правах.

ПРИМЕЧАНИЕ 2-ое. Если участвующие в совершении сделок и нотариальных действий лица нотариусу лично изестны, то нотариус удостоверяет это в акте или засвидетельствовании, не проверяя их самоличности иным порядком.

14. Совершаемые акты и свидетельствуемые документы могут быть изложены на грузинском или на иностранном и местных языках с переводом на грузинский язык. Правильность перевода удостоверяется нотариусом. В случае незнания носариусом иностранного или местного языка правильность перевода удостоверяется лицом, лично известным нотариусу. Подпись переводчика также удостоверяется нотариусом.

15. Участвующие в совершении акта лица, в случае невозможности собственноручно подписать акт по неграмотности, болезни или другим причинам, должны в присутствии нотариуса поручить подписание акта от своего имени другому лицу. В самом тексте акта или засвидетельствования нотариус должен удостоверить, что по такой-то причине участвующее лицо не могло подписаться собственноручно и что в его, нотариуса, присутствии, участвующее в акте лицо, поручило расписаться вместо себя другому такому то лицу.

Порядок совершения и засвидетельствования актов о имени и на имя несовершеннолетних и других недееспособных лиц определяется узаконениями об опеке.

16. При совершении акта либо засвидетельствования от имени ина имя лица глухого, немого или глухонемого, если они грамотны, акт представляется им для прочтения и собственноручной подписи о том, что акт прочтен и содержанием акта данное лицо согласно; при неграмотности глухого, немого или глухонемого приглашаются два лица: одно, которое умеет с ними об'ясняться, по выбору его самого, и другое

Р1025

лицо которое понимает данный способ об'яснения и своей подписью на акте удостоверяет соответствие содержания акта с волей глухого немого или глухонемого.

Если в акте участвующим лицом является слепой, акт совершается в присутствии свидетеля по выбору слепого; означенный свидетель, в присутствии нотариуса, прочитывает акт слепому, расписывается по просьбе слепого в акте, и нотариус в акте или засвидетельствовании удостоверяет эти обстоятельства.

17. При совершении нотариального акта нотариус, убедившись в соблюдении условий, требуемых для совершения акта, вносит представленный проект в актовую книгу, после чего акт прочитывается сторонам.

18. В нотариальном акте излагается подробное содержание той сделки, которая совершается сторонами, а также обозначаются лица, участвующие в совершении сделки, свидетели в тех случаях, кагда их участие предусмотрено законом, и способы удостоверения самоличности участвующих лиц и свидетелей; кроме того, подробно перечисляются все документы, имевшемся в виду при совершении акта и указывается, оплачены ли последние надлежащими, гербовым и другими сборами.

19. Подлинный акт подписывается сторонами в актовой книге. Представленные при совершении акта подлинные документы остаются при делах конторы, если в связи с совершенным актом они потеряли свою юридическую силу. В противном случае подлинные документы, по учинении на них соответствующей отметки о совершенном акте, возвращаются лицу, представившему их. В случае необходимости с подлинных документов снимаются, за счет участвующих лиц, копии, которые заверяются нотариусом и оставляются в делах конторы. Участвующим в деле лицам предоставляется получать копии с оставленных в подлинниках документов. Удостоверения личности возвращаются без задержки.

20. При совершении акта на отчуждение или залог строений и права застройки нотариус должен удостовериться, нет ли запрещения, последовавшего в установленном порядке, на совершение того отчуждения или залога.

21. При засвидетельствовании сделок нотариус обязан удостовериться в самоличности совершивших сделку лиц, и праве их на совершение данной сделки и втом, что сделка ими действительно подписана. Нотариус на подлинном акте о сделке делает надпись о том, что все указанные обстоятельства им проверены, при чем указывается способ, которым удостоверился в самоличности участвующих.

22. Все акты, писанные на нескольких листах, должны быть пронумерованы, прошнурованы и скреплены нотариусом по листам, с приложением сургучной печати конторы.

23. Совершающим акты и засвидетельствования лицам разрешается, по их желанию, получать выписи из актовой книги и реестра и копии с представленных к засвидетельствованию документов. Прочим же лицам и учреждениям таковые выписки и копии выдаются лишь по определению суда. Органы Рабоче-Крестьянской Инспекции и судебно-следственные имеют право получать выписи и копии по непосредственному своему требованию.

ПРИМЧАНИЕ: Народному Комиссариату Юстиции принадлежит право делать распоряжения о сообщении правительственным учреждениям в государственных интересах сведений из книг и дел нотариальных контор по определенным категориям дел.

24. При засвидетельствовании верности копий с представленного подлинника, копия сличается с подлинником, и в засвидетельствовании оговаривается, кем был пред'явлен подлинник и кому выдана копия, не было ли в подлиннике поправок, подчисток, приписок, зачеркнутых слов и иных особенностей, а равно указывается, каким гербовым сбором оплачен подлинник.

25. Засвидетельствование подлинности подписей делается, по удостоверении в самоличности подписавшего, надписью о том на самом подписанном документе.

26. Засвидетельствование времени пред'явления документа делается на самом докуметне с означением лиц, его представивших.

27. Нахождение лиц в определенном месте удостоверяется нотариусом при явке лиц в нотариальную контору или при удостоверении в этом нотариусом, по представлении доказательств самоличности, установленных в ст. 13 настоящего Положения.

28. Гражданам и учреждениям предоставляется право делать заявления через нотариальные контовы друг другу с получением от нотариальных контор удостоверений об учинении заявлений и о последовавших ответах.

29. Протест векселей совершается учинением, по требованию векселедержателя, надписи на самом векселе о неплатеже или о непринятии секселя в срок. О протесте векселя заносится в особый реестр, указанный в п. „в“ ст. 7 настоящего Положения.

30. Такса оплаты нотариальных действий и сборов устанавливаются особым постановлением Народного Комиссара Юстиции и Уполномоченного Закавкаского Народного Комиссариата Финансов.

31. На Народный Комиссариат Юстиции возлагается издание инструкции и циркульров по применению настоящего Положения.

Зам. Председателя Совета Народных Комиссаров
Соц. Сов. Респ. Грузии—АЛ. ГЕГЕЧКОРИ.

Управляющий Делами Совета Народных Комиссаров
Соц. Сов. Респ. Грузии—АЛ. САЛАРИДЗЕ.

Секретарь Совета Народных Комиссаров
Соц. Сов Респ. Грузии—Ф. КЕЧАКМАДЗЕ.

1924 г. мая 28.
Тифлис—Дворец.